გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით** დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 230 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -67 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის - 8 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 39 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 7 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 60 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

სოფელი ტირძნისი:

- ხმიადაანთ უბანში ჭაბურღილის დამატება, მიკროავტობუსებით საბავშვო ბაღის ბავშვების მომსახურება და მათი მიყვანა-მოყვანის უზრუნველყოფა.

სოფელი თერგვისი:

- სარწყავი წყლის რეაბილიტაცია, ,,liberty express" მანქანის ადგილზე მისვლა, რადგან პენსიონერებს უჭირთ პენსიის ასაღებად ჩამოსვლა ქალაქში.

სოფელი ბროწლეთი:

- ორი ჭაბურღილის გაწმენდა-ამორეცხვას.

სოფელი კოშკა:

- სარწყავი წყლის მოწესრიგება, ავტობუსის გაჩერების აშენება, ბაღებში გზების მოხრეშვა.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფელი ტირძნისი 2022 წლის 20 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ჯაბა იმერლიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა ტეტუნაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ჯაბა იმერლიშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. სხდომის დღის წესრიგის მიხედვით

სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ჯაბა იმერლიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ჯაბა იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ნასყიდაშვილმა, არჩილ ბუჩუკურმა და გოგიტა ხმიადაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი: ჯაბა იმერლიშვილი.